საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1401
02/03/2023

1401-21-2-202303021816

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N1
ელ.ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის 10 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N38 განცხადება, რომელიც ეხება ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედას ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის N21/6860 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში (ქვეთავი 4.1), ასევე გზშ-ის ანგარიშში მოცემული გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ს.კ. 21.03.33.494 საჭიროებს კორექტირებას/დაზუსტებას;
- დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს ინფორმაცია წყალჩაშვების წერტილის კოორდინატების შესახებ, კერძოდ: გზშ-ის ანგარიშში წყალჩაშვების კოორდინატია X–744948; Y–4609478; ხოლო არატექნიკური რეზიუმეს ქვეთავში 2.1 X-744914; Y–4609491;
- ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი დანართი 4 (საკადასტრო გეგმა) და დანართი 5 (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშის მიხედვით განსახილველ საპროექტო ტერიტორიის მონაცემებს, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის შემადგენელი ძირითადი კომპონენტები განლაგდება დახურულ შენობაში, გარდა სალამე მოედნებისა და სატუმბი სადგურისა. ხოლო, ლამის გაუწყლოება და სტაბილიზაცია მოხდება სალამე მოედნებზე. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშის 3.7.1 ქვეთავში მოცემული ჩანაწერი „დახურულ შენობაში იქნება განთავსებული დასტაბილიზირებული ლამიც“ საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშში 10.1 ცხრილის დასათაურება - „რეაგირება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N35 (12.07.2022) სკოპინგის დასკვნით“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან N35 სკოპინგის დასკვნა გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ;
- ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცლის მე-2 დანართიდან ამოსაღებია მე-2 პუნქტი;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო